

## გაზეთი „სახალხო განათლება +“ 90 წლისაა სახელოვანო იუბილარო, მრავალშემიერ!

ოთხმოცდაათი წლისა გახდა პედაგოგიური აზრის მედრომე, მასწავლებელთა მეგობარი და დამკვლავი დასახლები, საქართველოში განათლების დარგის მემკვიდრე გაზეთი „სახალხო განათლება +“. იგი XX საუკუნის დასაწყისში უფროსი იყო, „განათლება“ ერქვა და დიდი პედაგოგის, უკვდავი „დედაენის“ ავტორის იაკობ გოგებაშვილის ეროვნულ-საგანმანათლებლო მოძღვრებას ეფუძნებოდა, 1928 წლიდან კი გაზეთის სახით გამოდიოდა, დრო და ჟამის შესაფერად იცვლიდა სახელწოდებას და ერქვა: „სახალხო განათლება“, „განათლების მუშაკი“, „კომუნისტური განათლება“, „საბჭოთა მასწავლებელი“, კვლავ „სახალხო განათლება“, „ერი“, „განათლება“, დღეს კი – „სახალხო განათლე-

ზურაბ ბოცვაძე, აპოლონ სილაგაძე, კახა სიხარულიძე, ზაზა კახაძე, აკაკი ჯიქია, ნათელა ქიქვიციანი. დღეს მოქმედი რედაქტორი ბორის მიშველაძეც იუბილარია აქ მუშაობის 40 წლით. სხვადასხვა დროს რედაქციაში შემოქმედებითად იღვწოდნენ: ოთარ ქინქვლაძე, დავით ლორთქიფანიძე, ვასო ბაიაძე, გიორგი შალამბერიძე, ლევან ჩიქვანაია, ვალიკო სიმონიშვილი, ალექსანდრე ასლანიშვილი, ჯუმბერ ჩიქოვანი, ნათელა ფაილოძე, ნათელა



იუბილე – 90 რედაქციის შემოქმედებითი ჯგუფი: სხედან (მარცხნიდან): ბორის მიშველაძე (რედაქტორი), ნათია გურგენიძე, ეკა მამუკაშვილი, დგანან: მზია გოგოძე, ზურაბ ქობალია, კონსტანტინე გურგენიძე, ირმა მეზონია, თამარ ანდრიაძე. მზია გოგოძისა და ნანა პაპოშვილის ფოტო



იუბილე 55 რედაქციის შემოქმედებითი ჯგუფი: სხედან (მარცხნიდან): ნიკო შველიძე (რედაქტორი), გოგი ჩაგელიძე, მიხა მჭედლიძე, ვანო ჯაფარიძე, ნოდარ პაპიაშვილი, ნათელა ბოკერია, მერი ჩიხრაძე, დგანან: ვალიკო სიმონიშვილი, კურიერი, შერმადინ ჯიხვაძე, ოთარ კორაძე, მეტრამპაყე, ციცი კბილცეცხლაშვილი, ბორის მიშველაძე, ქეთი სესიაშვილი, ზინა მჭედლიძე, ნათელა ქიქვიციანი, აკაკი ჯიქია, ნადია გაფრინდაშვილი. გენადი სანაიას ფოტო

ბა +“. მას არასოდეს გადაუხვევია ეროვნულ-პატრიოტული პრინციპებიდან და მუდამ რჩებოდა „მარად მხნე, მარად მებრძოლი, მოყვარე თავის ერისა“. ასეა დღესაც. გაზეთის სათავეებთან მუდამ თავდადებული მამულიშვილები იდგნენ: მისი პირველი რედაქტორი – ლუარსაბ ბოცვაძე, შემდეგ – გრიგოლ გაბისონია... დიდი სამამულო ომის შემდგომ გაზეთს რედაქტორობდნენ: გრიგოლ საჯავაძე, ნიკო შველიძე, რეზო დვალისძე, ნათელა ფაილოძე, ნათელა

ქიქვიციანი, მთავრისა კერესელიძე, ლია მიქაძე, ლამარა ჩინჩალაძე, ბორის მიშველაძე, კონსტანტინე გურგენიძე, ნინო შერაზადიშვილი, რომან მოსეშვილი, გენადი სანაია და მრავალი სხვა. გაზეთში აქტიურად თანამშრომლობდნენ: გიორგი ლეონიძე, კონსტანტინე გამსახურდია, იოსებ ნონეშვილი, გიორგი ჯიბლაძე, უშანგი ობოლაძე, დავით ლორთქიფანიძე, მიხეილ ზანდუკელი, ვარლამ თოფურია, რევაზ მიშველაძე, სუტა ბერულავა, ვალერიან რამიშ-

ვილი და სხვები. იოსებ ნონეშვილმა მეტად პოპულარული ლექსი „მასწავლებელი“ პირველად „სახალხო განათლებაში“ გამოაქვეყნა. განათლების მინისტრებს შორის გაზეთის დიდი მოამბენი იყვნენ: გიორგი ჯიბლაძე, თამარ ლაშქარაშვილი, ოთარ ქინქვლაძე, ნათელა ვასაძე, ელიზბარ ჯაფელიძე. შემდეგ მოსულეს კი ზინის მეტი არაფერი მოუტანიათ. უფრო მეტიც, ოცდამეერთე საუკუნის

დასაწყისში თავისი „ბუდიდან“, გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობიდან გამოაძეგეს და ქუჩაში ბედის ანაბარა დატოვეს. დიდმა პედაგოგმა, მაშინ პარლამენტარმა ლევან ჩიქვანაიამ ხელი გამოგვიწოდა, შეგვიფარა. დღეს მოქმედი უფროსი რედაქტორი, ზურაბ ქობალია (რედაქტორის თანამდებობაზე), კოლეგიის წევრების: კონსტანტინე გურგენიძის, ნათელა ქიქვიციანის, ნათია გურგენიძის, ეკა მამუკაშვილის, მზია გოგოძის, ირმა მეზონიას, თამარ ანდრიაძის ენთუზიაზმითა და რუდუნებით სიცოცხლეს განაგრძობს. აქ ერთ გაზეთში მუშაობის „რეკორდსმენები“ არიან ფოტოკორესპონდენტი გენადი სანაია (45 წელი), ნათელა ქიქვიციანი (40 წელი), ნათია გურგენიძე (30 წელი). „დიდება მოთმინებასა შენსა, სახალხო გაზეთო!“

არასოდეს ჩამქრალიყოს ნათელი და ნათება შენი! სახალხოელეკი

### გვილოცავენ

**გამკლავობითა თქვენიო...**  
ძვირფასო კოლეგებო! საკუთარი სამშობლოსათვის შეჭირვებულნი, „ზემოდან“ უყურადღებობით ლამის გაქრობამდე ხართ მისულნი. არადა „სახალხო განათლება“ დიდი ტირაჟით უნდა იბეჭდებოდა. ჰაერით საჭირო და აუცილებელია ამ ეროვნული გაზეთის არსებობა. განა შეიძლება 90 წლის ტრადიციულ მომავალი თაობის აღმზრდელთათვის განკუთვნილ გაზეთს ხელისუფლებამ ხელი არ შეაშველოს? არ შედრკეთ, კოლეგებო! გილოცავთ და გვეიმედებით!

დღესაც მტკიცედ დგას ამ გაზეთზე. გამძლეობას, მხნეობას, გამარჯვებას გისურვებთ. კოლეგებო!

**გულნაზ სარაიშვილი,** უფროსი „ათინათის“ მთავარი რედაქტორი, პოეტი  
**არასოდეს შეწყვეტოთ გულსკვარა შენი!**  
ჩვენი სკოლის მემკვიდრეა „სახალხო განათლება“ – მასწავლებელთა, სტუდენტთა, მოსწავლეთა მეგობარი, მუდამ ეროვნულ ნიადაგზე მდგომი, მრჩეველი, პედაგოგთა ღვაწლის დამფასებელი და მისი ავტორიტეტის ამამღლებელი ყოველთვის იყო, არის და იქნება იგი. ახალი იდეებით გაბრწყინებას ვუსურვებთ!

### მხნე იყავით, კოლეგებო!

გაზეთი „სახალხო განათლება“ და უფროსი „დილა“ იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური მოძღვრებაზე არიან დაფუძნებული-ამოზრდილნი. ასე რომ, ჩვენ კოლეგები ვართ და აგერ უკვე საუკუნეა, ერთგულად ვემსახურებით მოსწავლე ახალგაზრდობის ენის, მამულის, სარწმუნოების სიყვარულით აღზრდის საქმეს. დღეს შეჭირვებულ მდგომარეობაში ვართ.

**სკოლის დირექტორები:** მარინე გიგაური (მე-9 საჯარო სკოლა), რუსუდან ზედაძიძე (22-ე), მათა კვიციანიძე (36-ე), ელენე ფუტყარაძე (167-ე), მიხეილ მინდაძე (161-ე), თენგიზ გულორიძე (106-ე), მიხეილ ჩიქოვანი (92-ე), და სხვები.

### სკოლაშენი მთავარი

იგი ერთადერთი გაზეთია, რომელიც სკოლაშენთა ე. ი. ბაგა-ბაღების აღსაზრდელთა ცხოვრებას ვრცლად ამუშავებს და ასახავს. ათიოდე წელია, პატარების აღზრდა-სწავლება განათლების სამინისტროდან მერიის დაქვემდებარებაში გადავიდა, მაგრამ მასწავლებელთა გაზეთი ძველებურად სკოლაშენთა ერთგული დარჩა. ჩვენი ბრძენი მრჩეველია. ახალ წარმატებებს ვუსურვებთ „სახალხო განათლებას“.

### „ერთ ბედქვეშა ვართ, დილა“

„ერთ ბედქვეშა ვართ, დილა“, – გვეუბნებით თქვენ. „მაგრამ მღერით არ გაგვწერეს მთავრობისგან განაწირობა“, – გიპასუხებთ ჩვენი. გილოცავთ ღირსეულ იუბილეს!

**ბაგა-ბაღის დირექტორები:** მაცყალა ჩუბინიძე (41-ე ბ/ბ), მზია მეტრეველი (150-ე), მარინე სამსონიძე (მე-60), მარინე ზაალიშვილი (173-ე), ლალი ოთარაშვილი (202-ე), იზა კვანციანი (45-ე), ქეთევან დვალისძე (170-ე), თამარ გობეჩია (172-ე) და სხვები.

### დოდო ნივინიძე

„უფროსი დილა“ მთავარი რედაქტორი P. S. ამასთან ერთად ქალბატონმა დოდო ნივინიძემ „ლიტერატურული საქართველო“ გულთბილად მოგვილოცა იუბილე. დიდი მადლობა, დოდო.

### „სახალხო განათლებას“

მასწავლებლების გაზეთი ბევრს დახურული ეგონა დღესაც კი მაჯისცემია. ბევრს კვლავ გაიხდის მეგობრად. თურმე მოშურნეც ჰყოლია, თუმცა დაგიდევს მათ არაღიჯობებს ჩვენი გაზეთი ანმყოში, სვალაც და მარად.

### ბორის მიშველაძე

მკითხველთა სიმრავლე გვისურვა. ფინანსური სიმრავლე უფრო მეტად გვეჭირდება, ქალბატონო დოდო.

**ზურაბ ქობალია**

### იაკობ გოგებაშვილის

„ღვაწით“ – ნინი! გაზეთი „სახალხო განათლება“ იყო, არის და იქნება იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური მოძღვრების, მისი „დედაენის“ ერთგული, მასწავლებელთა ქომაგი და მრჩეველი. მან ამ გაზეთე პოპულარობა და სიყვარული, დიდი ხანია დაიმსახურა.



იუბილე 80 რედაქციის შემოქმედებითი ჯგუფი: მარცხნიდან: მირიან ჯალაღონია (პედაგოგი, მხნეალი), ნათელა ნულებიკი, ნინო შერაზადიშვილი, ეკა მამუკაშვილი, ნათელა ქიქვიციანი (რედაქტორი), ლევან ჩიქვანაია, გურამ ხანდამიშვილი, ბორის მიშველაძე, ნაპოლეონ ლემონჯავა (უნივერსიტეტის პროფესორი). გენადი სანაიას ფოტო

122-ე საჯარო სკოლა ევროპულ სტანდარტებს უზიზნებს

# ელექტრონული ჟურნალი და მშობელთა ჩართულობა



ტარით აღჭურვა მოხერხდა მარშან, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობით. სულ გვეყავს 93 პირველკლასელი, რომლებიც გადანაწილებულია ოთხ პარალელურ კლასში.

სკოლის ინფრასტრუქტურა მთლიანად მოწესრიგებულია; ფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიები,

ხოლო ორი 1000 ლარიანი მასწავლებელი ნატო მასწავლებელი და მათა მასწავლებელი. ნარმატებით მუშაობს შვიდი საგნობრივი კათედრა. გაგაცნობთ მათ ხელმძღვანელებს: ქართული ენა და ლიტერატურა – ნონა გიგაური, მათემატიკა – თინათინ სარალიძე, საბუნებისმეტყველო – ნინო გურული, უცხო ენების – რუსუდან ფალავანდიშვილი, საზოგადოებრივი მეცნიერებების – ლეილა ნანობაშვილი, დანყებითის – თამარ ფერაძე და



ბოლო პერიოდში, მნიშვნელოვანი სიახლეები განხორციელდა თბილისის 122-ე საჯარო სკოლაში, რომელიც საბუნებრივ საფეხურზე, პეტრე ქავთარაძის N 42-ში მდებარეობს. სკოლა მოწესრიგებულია. ნამდვილად ეტყობა კარგი ხელმძღვანელის ხელი. გამოცდილი დირექტორი მედეა ქოქრაშვილი მუდმივად ცდილობს მოსწავლეებს უსაფრთხო და პოზიტიური გარემო შეუქმნას. იგი დიდ ყურადღებას იჩენს თითოეული მოსწავლის მიმართ, ზრუნავს მათი კარიერული წინსვლისა და მუდმივი განვითარებისათვის.



**მედეა ქოქრაშვილი:** ჩვენი მთავარი მიზანია მოსწავლეებს ხარისხიანი განათლება მივანდოთ და შეუქმნათ მათ სასიამოვნო და უსაფრთხო გარემო. კარგი კოლექტივი მყავს, აქტიურად მხარში მიდგას გამოცდილი მოადგილე ქალბატონი თეა კვიციანი, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე ქალბატონი სალომე მშვილდაძე (მშობელი დანყებითი საფეხურიდან) და სხვები. 2018-2019 სასწავლო წელს შევხვდით სიახლით. დანყებითი კლასები გადავიყვანეთ სკოლის მეორე, დამხმარე კორპუსში, რომლის აღდგენა და საჭირო ინვენ-

ხელოვნების კაბინეტი, რესურს ოთახი, სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა. ამჟამად, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობით მიმდინარეობს სკოლის ეზოს კეთილმოწყობა.

122-ე საჯარო სკოლაში სულ 51 პედაგოგია, რომელთაგან 29 უფროსი მასწავლებელია, 1 წამყვანი ნონა გიგაური,

ესთეტიკის კეთედრის – ივლიტა ორბელიაძე.

დირექტორის თქმით, სკოლისთვის წარმატებული იყო 2017-2018 სასწავლო წელი, რადგან კურსდამთავრებულთა შორის იყო 3 ოქროს და 1 ვერცხლის მედალოსანი. თითქმის ყველა მოსწავლემ ჩააბარა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, მათ შორის 100% გრანტით ჩარიცხვითა ორი მოსწავლე.

საგულისხმოა, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები სასწავლო-შემეცნებით აქტივობებში, როგორც სკოლაში ასევე სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ დაგეგმილ კონკურსებში. ბოლო კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მოსწავლეებმა არის „ხართუ არა მეექვსეკლასელზე ჭკვიანი“ სადაც გაიმარჯვა VI კლასის მოსწავლე მარია ნოზაძე და „მე რუსთველის პერსონაჟი ვარ“ სადაც VIII და XI კლასის მოსწავლეებმა გაიმარჯვეს, ბავშვები

დაჯილდოვდნენ სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით. მოსწავლეები ასევე, მონაწილეობენ როგორც სასწავლო ასევე, სხვადასხვა ოლიმპიადებში („კინგსი“, „სმარტი“, „ვეერესტი“ და სხვა.) დიდი ყურადღება ექცევა ჯანსაღი ცხოვრების პრობაგანდას. სპორტის გაკვეთილებზე ტარდება „მხიარული სტარტები“, კლასის საათზე საუბრებია ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვაზე და ა.შ.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მოსწავლეებისათვის ბუღალტრის თემატიკაზე მიმდინარეობს სხვადასხვა აქტივობები. 16 ნოემბერს ტოლერანტობის დღესთან დაკავშირებით, ყველა კლასმა წარმოადგინა თემასთან დაკავშირებით შექმნილი პოსტერები, საბაზო და საშუალო საფეხურზე ჩატარდა გაკვეთილები, სადაც მოსწავლეები გამოთქვამდნენ თავიანთ მოსაზრებებს და ეძებდნენ პრობლემის გადაჭრის გზებს.

ალსანიშნავია, რომ სკოლაში მიმდინარეობს სასწავლო პროცესის მუდმივი მონიტორინგი, შეხვედრები მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან. განიხილავენ პრობლემებს და მათი გადაჭრის გზებს.

სკოლაში სიახლეა ის, რომ შეიქმნა ელექტრონული ჟურნალი, საიდანაც მშობელი ყოველდღე იღებს ინფორმაციას მისი შვილის პოზიტიურ და გასაუმჯობესებელ მხარეებზე. მას ნებისმიერ ადგილას შეუძლია მობილური ტელეფონიდან, აპლიკაციის მეშვეობით მიიღოს და გაუზიაროს მასწავლებელს შეტყობინება. სკოლა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შემოთავაზებული პროგრამის საფუძველზე თანამშრომლობს პროფესიულ კოლეჯთან „იკაროსი“, რომელიც VIII – IX კლასის მოსწავლეებთან ატარებს პროფესიულ გაკვეთილებს „კულინარიის“ და „საკონდიტროს“ პროფესიაში.

აქტიურად მუშაობს სკოლის თვითმმართველობა, რომლის ინიციატივით ხორციელდება პროექტი „პროფესიული დღე“ და აგრეთვე სხვადასხვა აქტივობები.

122-ე სკოლას დიდი გეგმები აქვს და მომავლისთვის აპირებენ სხვადასხვა პროექტებით სწავლების მიმართულებით გაძლიერებას, მშობელთა კიდევ უფრო აქტიურ ჩართულობას და რაც ყველაზე მთავარია, მოსწავლისათვის უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნას.

დამდეგ შობა-ახალ წელს გილოცავთ, 122-ე სკოლელებო!

## მზია გოგოძე



## სწავლების მეთოდობა

# ჰაერივით საჭირო ბროშურა

ვერა ყურულაშვილი

**ბავშვის წინასასკოლო მომზადება**

თამაშების გამოყენებით

იგი. მითუმეტეს ახლა, როცა სწავლების ტექნიკურმა საშუალებამ – კომპიუტერმა იოლად მოპოვებული ინფორმაციის ოკეანეში ლამის ჩაძიროს მოზარდი, წიგნი, სახელმძღვანელო ხელიდან გაადგდებინოს. ეს ცალკე მსჯელობის თემაა.

ამ ვითარებაში კი რაოდენ გასახარია, რომ პედაგოგებს (სკოლამდელი აღზრდისა და დანყებითი განათლების) ხელთა აქვთ ცნობილი, გამოცდილი მასწავლებლის ვერა ყურულაშვილის ბრწყინვალე მეთოდოლოგიური ბროშურა „ბავშვის წინასასკოლო მომზადება თამაშების გამოყენებით“. სათაური თავისთავად მეტყველებს მის დიდ პრაქტიკულ ღირებულებაზე.

ბროშურა ეფუძნება იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურ მოძღვრებას, მის უკვდავ „დედა

ენას“, რომელიც, სამწუხაროდ, დღეს განდევნილია სკოლიდან და დიმიტრი უზნაძის „განწყობის ფსიქოლოგიაში“ – სწავლის მოტივაციის პრინციპს, რომელთანაც შედუღებულია ავტორის პრაქტიკული გამოცდილება. ყოჩაღ, ვერა, ქიმიის მასწავლებელი ასე საფუძვლიანად რომ ფლობთ პედაგოგიური ფსიქოლოგიის მეცნიერებას.

შესანიშნავად არის განმარტებული თამაშით სწავლების ფორმულა. ბროშურის ავტორი ღვანლმოსილი პედაგოგი გახლავთ, მასწავლებელად მუშაობდა თბილისის 138-ე სკოლაში, შემდეგ – დირექტორად მე-13 საჯარო სკოლაში, დიდხანს – კერძო სკოლა „დედას“ ხელმძღვანელობდა. ამჟამად კერძო სკოლა „გენიოსის“ დირექტორია და მომავალ გენიოსებს გვიზრდის.

გაზეთის ფორმატის, მისი შეზღუდული სივრცის გამო დეტალურად ვერ ვახერხებთ ბროშურის ანალიზს. მხოლოდ მისი თემატიკური ჩამონათვალით შემოვიფარგლებით, რომელიც მკითხველს ორიენტირად გამოადგება ბროშურის შინაარსის წვდომისათვის. ეს საკითხებია: სკოლისთვის მზადყოფნის პირობები; ფიზიოლოგიური მზადყოფნა; სკოლისთვის მზადყოფნა და თამაშები; როგორ ფიქრობს და წერს ბავშვი? ნატიფი მოტორიკა; ყურადღების განვითარება; ალქმითი შერჩევითობა; ყურადღების განაწილება; მესხიერება და მისი ფორმები; ყურადღება – მესხიერების განმავითარებელი თამაშები; მსხვილი (უხეში) მოტორიკის მნიშვნელობა; რჩევები მშობლებს.

მადლობას მოვასხენებთ კოლეგებს: რედაქტორ ომარ

შუდრას, რეცენზენტს – 89-ე საჯარო სკოლის დირექტორს, განათლების მეცნიერებათა დოქტორს მიმოზა ტყეშელაშვილს, პედაგოგებს: ლუსია ჯოლოგუას და ნინო კახარიანს ავტორთან თანამშრომლობისათვის, ერთგულად მხარში დგომისათვის.

ერთი სიტყვით, ეს ბროშურა მეთოდოლოგიური ლიტერატურის წონადი შენაძენია, ძვირფასი საჩუქარია მასწავლებლებისა და მშობლებისათვის, განსაკუთრებით კი დიდ დახმარებას გაუწევს ბავშვების აღზრდას და მათთვის მშობლის პროცესში.

## ბორის მიშველაძე,

პედაგოგიკის დოქტორი

# „ისმინა, სწავლის მიზანს!“



ისმინენ და მერე როგორ: კერძო სკოლა „დავითიანში“, დიდი გურამიშვილის სათაურად გამოტანილი სიტყვები რომ აქვს დევიზად, ანშლავია – 240 მოსწავლეზე გათვლილ სასწავლებელში 230 აღსაზრდელია. არადა, კერძო სკოლებისა თუ კოლეჯების უმეტესობა სწორედ კონტინენტის სიმცირეზე ვიშვებებს.

წუწუნით გაკეთებული საქმისა რა გვცოდნია? ანაყეთ, ბატონო, საქმე ისე, „დავითიანმა“ რომ ანაყო და არც თქვენთან ექნებათ ტევა მოსწავლეებს.

სკოლა ამ 22-ოდ წლის წინათ დაარსდა (დამფუძნებლები: ქალბატონები – მათა პეტრიაშვილი-გონგაძე, ნინო ჩოხელი და ნანა დიასამიძე, აღმასრულებელი დირექტორი – ქალბატონი ნანა მერაბიშვილი). მერწმუნეთ, ეს არცთუ დიდი დროა ურთულესი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ისე დასადაგებლად, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სათანადოდ ისე გასამართავად და მოწოდებით პედაგოგთა ისეთი გუნდის ჩამოსაყალიბებლად, რომ სკოლაში ზემოთქმული ანშლავია იყოს: მშობლები ენდობიან სკოლას, ყოველდღიურად თვალნათლივ ხედავენ შვილების წინსვლას, იციან კურსდამთავრებულთა წარმატებების შესახებ და მიჰყავთ და მიჰყავთ შვილები „დავითიანში“.

ეს კი, უპირველესად, პედაგოგების: სოფიო ბერაძის, ალინა ბაგდასარიანის, ირმა გელაშვილის (სასწავლო ნაწილი), ლალი გოგსაძის, მანანა ელისაშვილი-გოგოლის, ნონა კანაშვილის, ნინო კერვალიშვილის, ირინე კობალაძის, ნათია ლანჩავას, მარია ლაცაბიძის, სოფიო ლიჩელის, თამარ მერებაშვილის, ტატიანა მუმლაძის, ნინო გოგიშვილის, ეკატერინე ნეფარიძის, ნუნუ ულენცის, ტატიანა რაზმაძის, თამარ რამიშვილის, ხათუნა სახლთხუციშვილის, ნონა სამხარაძის, მათა სომხიშვილის, თამარ ქვათელაძის, ხათუნა ყაზარაშვილის, ნანა ჩოხელის, ნათია ძეფერემინეუს, მადონა ძიძიგურის, ნიკა

ცხომელიძის, ნათია ტაბატაძის, თინა გელაშვილის დაუცხრომელი, მიზანმიმართული შრომის ლოგიკური, დამსახურებული შედეგია.

სკოლა რთული ორგანიზმია. მის წარმატებას ყოველი რგოლის ურთიერთშეთანხმებული, გეგმაზომიერი ანონილ-დანონი



ნილი მუშაობა განაპირობებს. ამიტომაც ფასეული მისი ყოველი მუშაკის: ლია ბულაშვილის (ბიბლიოთეკარი), ინეზა ჩიქოვანის (ბუღალტერი), ნინო პეტრიაშვილის (უსაფრთხო სკოლის მენეჯერი), თამარ ენუქიძის (ექთანი), თამარ ვეკუას, მარინა პეტრიაშვილის (დამლაგებლები), გელა გაგოშიძის (მუშა) წვლილი საერთო წარმატებაში.

თუ სათავე წმინდაა, წყაროც ანკარა მორაკრავებს. სკოლის დამფუძნებლები, დირექტორი თავადაც, უპირველესად მრწამსით პედაგოგები არიან.

გამონვლილვით უწყინან სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ყველა ნიუანსი. ამი-



ტომ კოლექტივს სათანადო შემოიკრიბეს და ძალზე კოლეგიალურად, ტაქტიანად, ამავდროულად, მიზანმიმართულად ხელმძღვანელობენ მას. პედაგოგთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად გამიზნული ხარისხის მართვის მენეჯერის მარინე სენიაშვილის შემოქმედებითი მუშაობა, რაც, ჯამში, დიდებულ შედეგებს იძლევა.

დავითიანელთათვის სწავლება და აღზრდა განუყოფელი, მთლიანი პროცესია. მიზანი – მცოდნე, ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი, ჰარმონიული პიროვნებების აღზრდა. ძირითადი ზნეობაა. ზნეობა განაპირობებს ზემოთქმულსა და პასუხისმგებლობის დიდ გრძნობასაც. რელიგიაზე უკეთესი ამ თვისებებს, პედაგოგთა პირადი მაგალითითურთ, ძნელად თუ ჩამოუყალიბებს რამე. რელიგიის ისტორიის გაკვეთილებს (პედაგოგი – ნიკა ცხომელიძე) მოძღვრის საათიც ერთვის მოსწავ-

ლეების, მასწავლებლებისა და მშობლებისათვის. მას ვახტანგ გორგასლის სახელობის ტაძრის მოძღვარი, მამა მიქაელ ვაჩნაძე წარმართავს.

წარმოვიდგინოთ: მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები ერთად ისმენენ ქადაგებებს განსხვავებულ სიკეთესა და სიყვარულზე – უფალ იესო ქრისტეზე, ქრისტიანულ ყოვლადმშენყვალზე ზნეობასა და მრწამსზე, ადამიანის ამქვეყნიურ მოვალეობებზე... რაოდენი მადლია ეს და რაოდენ ახლოვებს შვილებს მშობლებთან და პედაგოგებთან.

გადიერებულად ისწავლება ყველა საგანი. გახანგრძლივე-



ბული დღის ჯგუფებიცაა. ყმანვილებთან ინდივიდუალურადაც მუშაობენ. იმართება სასწავლო-შემეცნებითი ექსკურსიები. მოქმედებს მხატვრული კითხვის (ხელმძღვანელი – ნონა სამხარაძე), ჭადრაკის (ლიანა ლაჭავა), სახვითი ხელოვნების (სოფია ლიჩელი), მათემატიკის (ხათუნა სახლთხუციშვილი), ფიზიკის (ლალი გოგსაძე), ქიმიის (მადონა ძიძიგური), სხვა წრეები, იმართება სპორტის გაკვეთილები...

ასეთი შემოქმედებით, კომპლექსური მიდგომის თვალსაჩინო შედეგები (ცხადია, საგაზეთო ფართის გათვალისწინებით): შარშანდელი ოქროს მედალოსნები – ანგელა მირზოევი და მიხეილ ხულელაძე; ვერცხლი – მარიამ სეთური (დავითიანელთათვის მთავარი ხარისხია და არა რაოდენობა. ესაა პედაგოგების მუშაობის ანი და ჰაე); სკოლაში მენარმოების საფუძვლებსაც ასწავლიან. „დავითიანის“ მორალური კრედიტის გათვალისწინებით, სავარაუდოდ, პატიოსანი ბიზნესმენები გველირსებიან. ბიზნესის უნარ-ჩვევების რესპუბლიკურ კონკურსში, 120 სკოლა რომ მონაწილეობდა, „დავითიანმა“ გაიმარჯვა. ამ სკოლამ წარადგინა საქართველო ბრიუსელში სხვადასხვა ქვეყნის 30 სკოლასთან ერთად; II-კლასელი ივიკო წერეთელი „სვიფტის“ ოლიმპიადში საუკეთესო ხუთეულში მოხვდა; რევაზ დობტურიშვილი (IV) ბაკურიანის საგზური მოიპოვა; ლუკა მიქაიამ ქართულსა და მათემატიკაში (III, 92 და 94 ქულა) სერთიფიკატი დაიმსახურა; საერთაშორისო პროექტ „ევროპული ენების დღეში“ საქართველოს სკოლებიდან ერთადერთმა „დავითიანმა“ „გაბედა“ მონაწილეობა (X, ინგლისური ენა, მარინა ბაგდასარიანი). შედეგებს დეკემბერში ელიან. მანამდე კი ონლაინ რეჟიმში მიდის და მიდის „ლაითები“; „კინგისა“ და „რობინსონის“ ოლიმპიადებში გაიმარჯვეს ნიკა ქავთარაძემ და საბა ბერძენიშვილმა. და ეს მხოლოდ მცირე ნაწილია სკოლის მოსწავლეთა წარმატებებისა.

ზემოთ მოსწავლეთა ჰარმონიულად აღზრდაზე ვთქვით. აქაურ მხატვართა ნამუშევრები ხშირად გამოუფენიათ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში; ძალზე წარმატებულია ქორეოგრაფიული ანსამბლი „გელათი“. მისი მოცეკვავეები: თათა გონგაძე, ნანკა კვიციანი, გიორგი ხარებავა, ლუკა სამუქაშვილი ნებისმიერ ანსამბლს დაამშვენებენ. სპორტიც პატივშია: ქართული რაგბის მომავლები არიან ბექა გელაშვილი და ალექსანდრე დავითაშვილი; თვალსაჩინო წარმატებები აქვთ მოჭიდავე ალექსანდრე კუპრაძეს, კალათბურთელ ლუკა გონგაძეს, ფეხბურთელ ლუკა დათუნაშვილს, მოკრივე გიორგი მაგომედოვს, მხატვრულ ტანმოვარჯიშეს ლიზი გონგაძეს.

ანუ: ეროვნულ ქრისტიანულ ზნეობასა და მორალზე დაფუძნებული აღზრდა, ცოდნა, სულიერი და ფიზიკური ჯანმრთელობა. აქეთკენ მიიღვრის და აღწევს კიდევ „დავითიანის“ პედაგოგები.

ცხადია, სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გარეშე, სკოლის კოლექტივის მუშაობის მარგი ქმედების კოეფიციენტი გარჯის ტოლფასი ვერ იქნებოდა: ნათელი, სათანადო, თანამედროვე დონეზე აღჭურვილი კლას-კაბინეტები და ლაბორატორიები, მდიდარი ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი და სტადიონი, პედაგოგთა ძალისხმევასთან ერთად, განაპირობებს სწორედ ყმანვილების მრავალმხრივ, ჰარმონიულ აღზრდას.

კურსდამთავრებულნი გრანტებს იღებენ და სხვადასხვა პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებელში განაგრძობენ სწავლას. გამოდიან მფრინავები, ექიმები, მხატვრები; მუშაობენ სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე.

და რომ სწორედ ასეა, ამიტომაც ისმენენ სწავლის მიძენელნი და „დავითიანში“ მიდიან.

კონსტანტინე გურგენიძე

პარმონიული პიროვნების აღსაზრდელად

მუსიკის, სამუშაოს, მოყვასის სიყვარულით



მუსიკა ყველგან და ყველაფერშია: ნაკადულის რაკრავში, ქარის ქროლვაში, ჭექა-ქუხილში, ფოთლების შრიალში, ნაბიჯების ხმაშიც. მუსიკაში ვცხოვრობთ, მაგრამ მისი აღქმის, გათავისების უნარი გამორჩეულთა ხვედრია, მათი, ვინც მუსიკის ნიჭითაა ცხებულნი. ლუკას სახარებაში ანგელოზთა გუნდი ღვთაებრივი გალობით ამცნობს მეჯვარეებს მაცხოვრის მოვლინებას. ეს ის უხეშთავეი ჰანგები იყო, უფალს რომ აღიდეგნენ ანგელოზთა დასნი და დასნი. სწორედ ამ ღვთაებრივი მუსიკის ნაპერწკალი უწყალობა მუსიკოსებს ზეციურმა მამამ და გენიაული ნაწარმოებები შეაქმნევინა, ხოლო მუსიკის მასწავლებლები, თავადაც ნიჭით ცხებულნი, იმისთვის არიან მონოდებულნი, რომ ამ ჯადოსნურ, ზეალმტაც, სულის განმასპეტაკებელ ღვთის წყალობას აზიარონ, შეუსისხლნონ მრავალთა და მრავალთ, თანაც სწორედ იმ საწყისიდან, საიდანაც ყოველი ჩვენგანი მოდის – ბავშვობიდან.

ხელოვნების 30-ე სკოლის მთელი კოლექტივი: დირექტორი – ქალბატონი მანანა კველიშვილი, მისი მოადგილე ქალბატონი ლილა აბრამიშვილი, ფორტ-

ყმანვილები მუსიკის ზეალმტაც, სულისშემძვრელ ბილიკებზე ისე, რომ თავადაც ყოველდღიურად იკვლონ გზები ბავშვების გულებისკენ მიმავალ ბილიკებზე და თაობიდან-თაობამდე აზიარონ იმ დიდებულებას მუსიკა რომ ჰქვია.

ნებისმიერი პროფილის სკოლა რთული ორგანიზაციაა. მის წარმატებას ყოველი რგოლის შეთანხმებული, მიზანმიმართული მუშაობა განაპირობებს. არ არის მსხვილმანი და წვრილმანი საქმე. წვრილმანად მიჩნეული ხშირად ძალზე მსხვილმან

სკოლას სათავეში მისი მეუღლე ქალბატონი მანანა ჩაუდგა. 2002 წელს ოჯახი მოსკოვში გადავიდა საცხოვრებლად. სკოლას ქალბატონი დალი წერეთელი ხელმძღვანელობდა. 2007 წლიდან კი კვლავ ქალბატონი მანანა დირექტორი.

მისი კაბინეტის კედლები უამრავი დიპლომით, ჯილდოთი, სიგელითა თუ მადლობითაა დაფარული. მერიის საპატიო სიგელი ქალბატონ მანანას სასწავლო-შემოქმედებით პროცესში განსაკუთრებული მონაცემების მქონე მოსწავლეთა აღზრდისა



ბის საერთაშორისო კონკურს „მომავლის ვარსკვლავსა“ და რიგის საერთაშორისო კონკურსში. რესპუბლიკურში გაიმარჯვეს და-ძმა ანასტასია, ალექსი

ამ თექთურმანიძეებმა (ლიანა დალაქიშვილი).

12 წარჩინებულ მოსწავლეს მერია აფინანსებს. ეს ყმანვილებიც ამ თორმეტთაგანნი არიან. ესაა სკოლის ბურჯი და ხერხემალი. მერია 78 სოციალურად დაუცველ მოსწავლესაც აფინანსებს.

კურსდამთავრებულები აბარებენ კონსერვატორიაშიც და სამხატვრო აკადემიაშიც. ბევრი საქართველოს სხვადასხვა სიმფონიურ ორკესტრში უკრავს. საზღვარგარეთაც მრავალი მოღვაწეობს. რას იზამ, გაედინება და გაედინება ქვეყნიდან ინტელექტი, ტალანტი.

ასეც უვითარებენ ყმანვილებს ფანტაზიას, უფართოებენ თვალსაზრისს: ასმენინებენ კლასიკურ მუსიკას და მერე ავალებენ ფერებში გამოხატონ მოსმენილი. ხომ დიდებულა!

მოსწავლეები უკრავენ სიმფონიურ ორკესტრთან ერთად (დირიჟორები – გიორგი შილაგაძე და რევაზ ტაკიძე) საქველმო-



პრობლემად შემოგვბრუნებია. ამიტომ სკოლის თვალსაჩინო წარმატებებში თავისი წვლილი შეაქვთ მნეს ქეთევან ბეჟუაშვილს, ბულალტერ მაყაალა ნადირაშვილსა და დარაჯ ტარიელ მჭედლიშვილს.

საფრანგეთში ასეთი ცდა ჩაატარეს: დედა ჩვილს მშობლიურ და უცხო ენებზე უმღეროდა. როცა მშობლიურ „იავნანას“ დაჰლულუნებდა, წოვის სიხშირე გაცილებით იმატებდა. საბჭოთა კავშირში გენეტიკა, წლების მანძილზე ხომ ლამის ფაშისტურ ცრუ მეცნიერებად იყო მიჩნეული, მაგრამ მშობლიური, ეროვნული, გენეტიკურად კოდირებული ამოუძირკველია! ოლონდ ეგაა, თავიდანვე, ყმანვილობიდანვე უნდა შეუნყო ხელი მის განვითარებას, სულსა და გულში გაჯდომას.

ეს კარგად უწყიან 30-ე სკოლის პედაგოგებმა და 6 წლიდან, როცა ბავშვები შეჰყავთ სკოლაში, ეროვნულ მუსიკაზე, ქართული კომპოზიტორების ნაწარმოებებით ინწყებენ მათთან ინდივიდუალურ მუშაობას. ჯერ შენი შეიგრძენი, შეიყვარე, გაითავისე და მერე „მოვლენ“ (მოდიან კიდეც) ბეთჰოვენი, მოცარტი, ბახი, ჰაინდნი, შოპენი, ბრამსი, ჩაიკოვსკი, მუსორგსკი...

სკოლაში მუსიკის სწავლება და აღზრდა მთლიანი პროცესია. ცხადია, მუსიკა თავადაც ზრდის, სულს უფაქიზებს ყმანვილებს, მაგრამ, პედაგოგთა მეოხებით, აღსაზრდელებს თავდაჭერა, ხასიათიც უმუშავდებათ, ესთეტიკურად იხვეწებიან და, შესაძლოა, კარგი მუსიკოსები ვერ დადგენენ, მაგრამ სანიმუშო პიროვნებებად კი აუცილებლად ჩამოყალიბდებიან.

სკოლა 1991 წელს დააარსა კომპოზიტორმა დავით კველიშვილმა. დიდებულმა მუსიკოსმა გამორჩეულნი შემოიკრიბა და სასწავლებელმაც მალევე მოიხვეჭა სახელი. 1996 წლიდან

და განვითარებისთვის განეუფლი განსაკუთრებული ღვაწლისათვის; მერიისავე სიგელი ხელოვნების სკოლების დათვალეირება-ფესტივალში სკოლის წარმატებული მონაწილეობისთვის; ხელოვნათა კავშირის, კულტურის მუშაკთა პროფკავშირის სიგელ-დიპლომები...

ეს პედაგოგთა შემოქმედებითი, მიზანსწრაფული, თავდადებული შრომის „მოსავლია“, მაგრამ აღმზრდელთა ჭეშმარიტი საგანძური აღსაზრდელები არიან. სწორედ ამ საგანძურს დაჰფოფინებენ, ესთეტიკიან და ცხოვრების დიდ გზაზე გაჰყავთ.

ანა ჩიკაშუამ (ფორტეპიანო, პედაგოგი –ლიანა ქუთათელაძე) ზედიზედ ორჯერ გაიმარჯვა იტალიის ქალაქ პეზაროში გამართულ რენატა ტიბალდისა და მარიო დელ მონაკოს სახელო-

ქაქუთიებმა და ნინი ჭანკვეტაძემ (ლიანა ქუთათელაძე), მარია ქარაიამ (მანანა კველიშვილი), მზია



მჭედლიშვილმა (ლილა აბრამიშვილი), ვერიკო ბასარიამ (მანანა ჯორჯიკია), ანასტასია და მარ-

ქმელო კონცერტებს მართავენ „კათარზისისა“ და საქართველოს კარიტასთან (პედაგოგები – მადონა ქანთარია და ნანა ალექსიძე); მრავალ ფესტივალსა თუ გამოფენაში მონაწილეობენ და დირექტორის კაბინეტის კედლებს ემატება და ემატება სიგელები, დიპლომები, ჯილდოები...

სივინროვის გამო, სკოლას 160 მოსწავლე ჰყავს. ჩემი აქ ყოფნისას, რამდენიმე მშობელმა მიაკითხა დირექტორს თხოვნით, მიელო მათი შვილები, მაგრამ ადგილები სექტემბრიდანვე შევსებულია. ასეთი მიჯარება სკოლის წარმატებულობის კიდევ ერთი დასტურია.

გვჯერა, ხელოვნების 30-ე სკოლა ჩვეული შემართებით განაგრძობს მუშაობას და ყმანვილებს, მუსიკის სიყვარულთან ერთად, კვლავაც ასწავლის სამშობლოს, მოყვასის სიყვარულს; მათ მამულიშვილებად, პარმონიულ პიროვნებებად ჩამოყალიბებაში შეიტანს ძალზე ფასეულ წვლილს.



ეპიანოს პედაგოგები: ნანა ალექსიძე, მანანა ბასიაშვილი, ემა ბროლაძე, მარიამ გორდულაძე, ლიანა დალაქიშვილი, ქეთევან კბილაძე, ნანა მახარაძე (საქართველოს დამსაზრებელი პედაგოგი), მარიამ მახაშვილი, ნანა სართანია, ლიანა ქუთათელაძე, ეთერ ჭახრაკია, მანანა ჯორჯიკია; სამხატვრო ხელოვნების, ფერწერის, სახვითი ხელოვნების, ქანდაკების პედაგოგები: მურად იამანიძე, ნინო იოსავა, თეა გამხიტაშვილი; გიტარა, საესტრადო ვოკალი – კომპოზიტორი დავით კველიშვილი, მადონა ქანთარია, აკადემიური ვოკალი – მზია ჭილაძე, კონცერტმეისტერი – ანა კურცხალია სწორედ ზემოთქმული მრწამსით იღვნიან, რადგან ძირისძირობამდე აქვთ გაცნობიერებული თავისი მისია – პატარაობიდან ატარონ



კონსტანტინე გურგენიძე

# დედობრივი მზრუნველობა არ მოაკლდებათ, ცეროდენებო!



აქ ყველაფერს მზრუნველის ხელი ატყვია. შეხვალთ და იგრძნობთ, დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება ყველა თანამშრომელი თავის მოვალეობას. კეთილი ხელმძღვანელიც ჰყავთ, გამოცდილი, ჰუმანური, შემოქმედი დირექტორი **თამილა მესხორაძე**. იგი მეოთხედ საუკუნეზე მეტია გატაცებით, სიყვარულით ემსახურება ნორჩების აღზრდა-სწავლების რთულ საქმეს. წარმატების საზომი ხომ შედეგია: თუ ბავშვებს აქეთკენ მოუხარიათ, დედობრივი ზრუნვა და ალერსი არ აკლიათ, ამისთვის თუ ყველა პირობაა შექმნილი, მშობლებიც კმაყოფილი არიან, მიზანი მიღწეულია. ეს ყველაფერი ამ ბაგა-ბაღში ნამდვილად ასეა. ინფრასტრუქტურა – უღარესად მონესრიგებული, აღმზრდელ-მშობელთა თანამშრომლობა – ჩინებული, ესთეტიკური გარემო – კიდევ უკეთესი. დირექტორი, თანამშრომლები, მშობლები მადლობელი არიან დედაქალაქის მერიისა, განსაკუთრებით – ამ სამსახურის უფროსის ბატონ **კახა გვანცელაძისა**, რომელიც ყურადღებას, დახმარებას არ აკლებს ბაგა-ბაღს.

ვალერებთ მათ შემოქმედებას: ნახატებს, აპლიკაციებს, გამოფენებს, ალტაცებაში მოხვალთ. აი, კარგა ხნის დაწყებულია მზადება შობა-ახალი წლისთვის. აღსაზრდელეთან ერთად დიდი მონდომებით ამერიკის პედაგოგი **ნინო ლამბაშიძე** და ცეკვის მასწავლებელი **ნანული აფციაური**. დაიდგება ბრწყინვალე ნაძვის ხე, იმზიარულენ, იცეკვებენ, იმღერებენ, ლექსებს წაიკითხავენ. მეკვლედ „თოვლის ბაბუაც“ ეყოლებათ. გაისმება მშობლიური ჰანგები: **„ფიფქები ცვივა და ფიფქები მღერინ, გამოდი, გამოდი, ახალი წელია!“** ზღაპრებიც იქნება და საახალწლო საჩუქრებიც. გასულ სასწავლო წელს სკოლისთვის კარგად მომზა-



დებულ 55 ცეროდენას გზა დაულოცეს პირველ კლასში. მომავალი სექტემბრისთვის კი 43 ნიჭიერ ბავშვს გააცვილებენ. ბავშვთა კვების საქმე ევროსტანდარტების დონეზეა. დაცულია ყველა ნორმა, ჰიგიენურ-ეკოლოგიური. დიდი მადლობა ამ სამსახურის მუშაკებს: **მანანა ოდიშარიას**, მნე **მარინე ყელბერაშვილს**, გემოვნებიან მზარეულ **ბელა მეგრელიშვილს** და მის თანაშემწეს **ნანული ეგრისელაშვილს** გემრიელი კერძების მომზადებისათვის. ბავშვებში უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება-აღზრდის მიზნით ბევრს მუშაობენ ფსიქოლოგი **მარინე ჩოჩია** და ლოგოპედი **სოფიო გელაშვილი**. საერთო წარმატებაში ასევე დიდი წვლილი შეაქვთ საქმის

მწარმოებლებს: **მზია გოგინაშვილს** და **ნათია კაციაშვილს**. მარჯვენა დაგელოცოთ აღმზრდელ-პედაგოგებო! ეს წარმატებები უთქვენოდ არ იქნებოდა. თქვენი ღვაწლია, რომ ამდენი ნიჭიერი თაობა ეზრდება ხვალინდელ საქართველოს. დირექტორი **თამილა მესხორაძე** მაღალ შეფასებას აძლევს მათ თავდადებულ შრომას. ესენი გახლავთ აღმზრდელები: **ლელია მუნგერი**, **ეთერ თოდუა**, **ნათია თედიაშვილი**, **ბელა ბაქრაძე**; თანაშემწეები: **მაია ჩხრაძე**, **ქეთევან ჩალაძე**, **თეა დოლიძე**, **ნანა ცერცვაძე**. ქების ღირსნი არიან ტექნიკური მუშაკები, რომელთაც დიდი წვლილი შეაქვთ ბაგა-ბაღის წინსვლა-გამშვენიერებაში. ესენია: **თამარ გოცირიძე**, **ნაზიკო მახარაშვილი**, **ირმა მანაგაძე**, **მაკა ბუბუტიშვილი**, **თამარ ნამგალაური**, **ბაბულია ნიკოლაიშვილი** და **თამაზ ქოქრაშვილი**.

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს, 98-ე ბაგა-ბაღელებო! მშვიდობა, სიკეთე და ბედნიერება დაგებოდეთ.

ბორის ხარეზაძე



საყოფაცხოვრებო პირობებს, მოხიბლული დარჩებით. ამ საერთო მოღვაწეობაში დირექტორს აქტიურად მხარში უდგას გამოცდილი მოადგილე **მარია დოლიძე**. დიდი წარმატებით ხორციელდება „სასკოლო მზაობის“ პროგრამა, რომელსაც უნარიანად უძღვება ამ დარგის კოორდინატორი, პროფესიონალი მეთოდისტი **იზო ნატროშვილი**. იცით, ნიჭიერი, პერსპექტიული ბავშვების „რა სიუხვეა, რა სიმრავლეა“? რომ დაათ-



## სახალწლო განყოფილების

# არა მხოლოდ ბაგა-ბაღებში წასაკითხ-სამღერო



ცეროდენებს უყვართ პოეტი **ლელია ვადაჭკორია**. არა მხოლოდ საბავშვო, იგი არც სადიდო პოეზიაში დაუდებს ტოლს ვინმეს. ეს ლელიამ კარგად დაამტკიცა ისეთ გამოცემებში, როგორიცაა მეტად პოპულარული ჟურნალი „ათინათი“ და სულ ახლახან გამოსული კრებული „ანთოლოგია“.

პოეტი-პედაგოგი მასწავლებელთა გაზეთ „სახალხო განათლება +“-ის ხშირი და სასურველი სტუმარია, ბრწყინვალედ იცნობს ბავშვის ფსიქოლოგიას, თითქოს მის გულში ზისო, იცის, რა იტაცებს მოზარდს, რა ახარებს. უშუალოა მისი პოეტური სტრიქონები, მსუბუქი, ხატოვანი, ადვილად დასაზეპირებელი, დიდაქტიკური. ლელია საბავშვო ლექსებს ბაგა-ბაღის, ასევე დაწყებითი

კლასების ცუგრუმელები სწავლობენ, საზეიმო ღონისძიებებზე კითხულობენ, მღერაინ.

მოდის წელი ახალი. მომავალ წელს პოეტი საბავშვო წიგნის გამოცემას აპირებს. სავარაუდოდ კრებულში იმ ლექსების შეტანას გეგმავს, რომელთაც ამჯერად შემოგთავაზებთ.

## ლელია ვადაჭკორია

### თოვლის ფაფახი

**ბარში** დათბა და მინასაც გულში ყინული გაულღვა. მოხო ვაზს ესათუთება, თედოს მინდორი დაუნხავს. კატო ბაღჩაში ფუსფუსებს, ნიკო სახლს უცვლის სახურავს. მაღალ მთებს ისევ ქათქათა თოვლის ფაფახი ახურავს.

### სინანული

**ნუ** აურევ წყალს ბოჩოლას, ნუ დაუნგრევ ჩიტებს ბუდეც. დრო მოვა და შენს გულშიაც სინანული დაიბუდებს. ნუ დაუმტვრევ ხეებს ტოტებს, როს პატრონს არ დაიგულე, სიყვარული თუ დაკარგე, ადვილად ვერ დაიბრუნებ.

### მერცხალი

**მთელი** ზაფხული ჩვენთან ხარ, მერე სხვა მხარეს იქარაი. მერცხალო, კუდმაკრატელა, შენი სამშობლო? – გვითხარი! მერცხალმა წყრომით შეხედა: რა საკითხავი ეს არის „სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ, ჩემი სამშობლოც ის არის“. სუსტი ვარ, ყინვას ვერ ვუძლებ, მიფერინავ შორეთს იმიტომ, რომ გაზაფხულზე ისევე ჩემი სამშობლო ვიხილო.

### ახალგაზრდებო, თქვენი ვალისა

**უნდა** იყო კირით ხურო, მართალს ვამბობ, კი არ ვხუმრობ, ააშენო, დაამშვენო და სახლები გადახურო. შექმნა უნდა შენი რაზმი მათაც უნდა ჰკითხო აზრი. ზოგმა კაშხალი ააგოს და ზოგმაც – სასახლე-დარბაზი. ზოგმა მინა სიყვარულით უნდა თოხნოს, უნდა ბაროს: ეს ქვეყანა სამომავლოდ ხომ თქვენ უნდა ჩაიბარო?

### მიყვარხარ ზეკეა!

**ბეკეა**, ჩემო ბეკეა, ნუ ეხეტები ტყე-ღრესა, მალე დაბრუნდი სახლში და თავად მოგიტან ნეკერსა. სულ ჩემი ხელით შეგაჭმევ, მერე დაგვარცხნი თეთრ წვერსა, კუდზე ლამაზ ბანტს შეგაბამ, შენ რომ შეგშენის იმ ფერსა. ოღონდაც ჩქარა დაბრუნდი, ტყეში მგელია საშიში. ჩემო ბაკუნა ბეკეკავ, კიკინს არასდროს დაგიშლი.

### გაზაფხულის მაყნე

**ზამთარს** კუდი დაუმალავს, ჰოდა, ახლა მოიქნია. თუმცა ყინავს, მაინც ღვივის ენძელა და ლურჯი ია. არ შემიდა, ცის ნაპირზე ნახე, მზე ამოიწვერა, გულს გაუთბობს ამ ნორჩ ბალახს და ყვავილებს ნაირფერადს.

ბამარჯობა, 201-ე ბაგა-ბაღელებო!

# საზეიმო ხმები ისმის – სახალხო საზაღდისია!



საბავშვო ბაღში თუ დისციპლინა და წესრიგია, კვებაც მაღალ დონეზეა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესიც ყოველგვარი წესის დაცვით მიმდინარეობს, მაშინ პატარებიც კმაყოფილი არიან და მშობლებიც. ასეთია 201-ე საბავშვო ბაგა-ბაღი. აქ შესვლისთანავე იგრძნობა გემოვნება, სისადავე, კომფორტი და იდეალური სისუფთავე. ბაღის ეზო მოწესრიგებულია და დამშვენებულია მარადმწვანე ნარგავებით, ყვავილებით და თანამედროვე ატრაქციონებით, რაც პატარებს ძალიან ახარებთ. ბაღის ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია და აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით. შენობის ინტერიერი გაფორმებულია თვალსაჩინო-



კარგ მენეჯერზეა დამოკიდებული. ქალბატონო ხათუნა თანამშრომლების მიმართ მეგობრული, ჰუმანური და ამავე დროს ძალიან მომთხოვნია.

ში – ექიმ რეზიდენტად. ბაღს ემსახურებიან შესანიშნავი აღმზრდელები. ესენია: **ლალი კაპანაძე**, რომელიც ღვანლმოსილია 30 წლიანი სტაჟით, ასევე, **ნინო გიორგაძე**, **დინარა ლომიძე**, **მარინე გვიმრაძე**, **თამარ მახანაშვილი**, **თამარ გაბაშვილი**, **ლელა დაიაური**, **ირინა ზედგინძე**, მულტიდისციპლინური გუნდი (ფსიქოლოგი, სპეც პედაგოგი, ლოგოპედი), **ნატალია ჩხაიძე**, **თამარ ადამია**, **ქეთი ხომერიკი**, მეთოდისტი **ლია მამამთავრიშვილი**. აღმზ-



ასევე, ჯგუფებში გაკეთდა ახალი იატაკები. ბაღში სულ ექვსი სააღმზრდელო ჯგუფია, 2 ბაგა, ერთი 3-4 წლიანი, ერთი 4-5 წლიანი ჯგუფი და ორი „სასკოლო მზაობის“ ანუ 5-6 წლიანი აღმზრდელები. ჯგუფებში აღმზრდელო რაოდენობა დაშვებულ სტანდარტებს აღარ ცდება გამოდინარე იქიდან, რომ ბევრი ახალი ბავშვი აშენდა. ჩვენთან კვება დიდი ყურადღება ექცევა და დაცულია ცილებისა და ცხიმების თანაფარდობა. სააგენტოს გადანყვებილებით, შედგენილია ახალი მენიუ, რომელიც მთლიანად გაჯერებულია ახალი ბოსტნეულით, რძის ნაწარმით,

შემოქმედებითი ღონისძიებები, სხვადასხვა აქტივობები და სეზონური ზეიმები. ყოველწლიურად აღინიშნება 21 მარტი, დაუნის სინდრომის მსოფლიო საერთაშორისო დღე. აუტიზმის ცნობადობის მსოფლიო დღე, დედაუნის, დედის დღე, 8 მარტი; აგრეთვე, აღდგომის ბრწინვალე დღესაწაული და გამოსაშვები საღამო „**ბედნიერი გზა სკოლისკენ**“. სულ ახლახან, აღმზრდელებმა მშვენიერი საშემოდგომო ღონისძიება გამართეს და გააცილეს ოქროსფერი შემოდგომა. ცუგრუმელებმა იმღერეს, იცეკვეს, ნაიკითხეს ლექსები და აღმზრდელებთან



ინობებით, აპლიკაციებით, პატარების და აღმზრდელების ნამუშევრებით. საოცარი სიმყუდროვეა შექმნილი თითოეულ ჯგუფში. ბაღის პედკოლექტივის დიდი ძალისხმევით, პატარები საოცარ ხელნაკეთ ნივთებს ქმნიან, ძერწავენ, ხატავენ და ასე ეუფლებიან ხელოვნებას. „**საკოლო მზაობის**“ პროგრამაც სწორად სრულდება და პატარებს კარგად მომზადებულებს აცილებენ სკოლაში. ამიტომაც არის, რომ ეს საბავშვო დაწესებულება სკოლებიდან სამადლობლო ბარათებს იღებს და ბაღის პოპულარობაც მატულობს.

წარმოშობით ქუთაისელი, პროფესიით ექიმი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედი-

რდელის თანამშენებელი: **მალინა ჩაჩიბია**, **ნინო აღნიაშვილი**, **ნარა დავითაშვილი**, **ნინო ბუქაური**, **მარი სარდლიშვილი** და **თამარ მურალაშვილი**. ბაღის წარმატებისთვის თავს არ ზოგავენ მოადგილე **ზაირა იმნაძე**, საქმისმწარმოებლები – **ლელა ჯაფარიძე**, **თამარ ღონლაძე**, მწვენი მურალაშვილი, მზარეული **ნათელა აფციაური**, დამხმარეები **მელანო აღნიაშვილი**, **ხვირა ხუნდაყვილი**, ტექპერსონალი **ხათუნა აღნიაშვილი**, **მანანა ივანიშვილი**, **ფიქრია მარღანი**, **თიკო კალაშანი**, **ქეთი კალატოზიშვილი**, **ხატია სარდლიშვილი**, **გიორგი ჩოხელი**, **ალექსი ბარჩაშვილი**, **დავით აღნიაშვილი** და **გიორგი მურმანიშვილი**.



ხორციით, თევზით, დესერტით, ცოცხალი სეზონური ხილით, რომელიც ყოველდღიურად მიწოდებათ პატარებს. ასევე, სისუფთავეს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა და ბაღში, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები მთელი სიკაცრით არის დაცული. ბავშვთა დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით. გუნდი რომელიც აქ დამხვდა, საკმაოდ გამოცდილი პროფესიონალები არიან. წლიდან წლამდე მიმდინარეობს მათი გადამზადება-ტრენინგები. წლებია ჩემი პედაგოგები დაუღლავე შრომით და პატარებისადმი უსაზღვრო სიყვარულით ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას. ზრუნავენ პატარების უსაფრთხოებაზე, მათ სწავლასა და ფიზიკურ აღზრდაზე.

ერთად, ამოავლეს ჩურჩხელები. ასევე, ყოველწლიურად იმართება საახალწლო კარნავალი, სადაც ბავშვებს სტუმრობს თოვლის ბაბუა, რომელიც პატარებს უხვად ასაჩუქრებს სხვადასხვა ნუგარით. საახალწლო საზაღდისი ამჟამადც მიმდინარეობს, სადაც აღსაზრდელები საგანგებოდ ემზადებიან და მოწვეულ სტუმრებს ღამაზ სანახაობას წარუდგენენ. **ნაძვის ხის და ფიქტაჯენის დღესასწაულს გილოცავთ, 201-ე ბაგა-ბაღელებო!**

## მზია გოგოძე



ცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. წლების მანძილზე მუშაობდა სხვადასხვა კლინიკა-

მომწონს. შვიდ წელზე მეტია, რაც 201-ე ბაგა-ბაღის დირექტორი გახლავართ და ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ მოწესრიგდა. ჩემი მუშაობის პერიოდში მთლიანად შეიცვალა: სააღმზრდელო ჯგუფების ინვენტარი (მაგიდები, სკამები, კარადები, სანოლები,ჭურჭელი). მოწესრიგდა და თანამედროვე სტანდარს დაექვემდებარა სამზარეულოსანყოფი. შევცვალეთ ფარდები ფერად-ფერადი ფალუზებით. 2014 წელს ბაგა-ბაღი უზრუნველყავით ცენტრალური გათბობით და ცხელი წყლით. აღვადგინეთ დენის მესამე ფაზა.



ლიტერატურული ვარსი

ახალი წიგნიდან: „ოცნება და სინამდვილე“



მანანა ზაზიკაშვილი

ვიყოფიყვით ახალ წელს!

გილოცავთ ახალ წელს, სიხარულს უღელს, ოცნების ახდენას, უამრავ ფულს!!!

მოვიდა, მოვიდა ახალი წელი! მოვიდა ხეავით, ბარაქით ავსილი. გახედეთ, მთლიანად საქართველო ზეიმობს ახალი წლის მობრძანებას! თბილისის ყველა უბანი სადღესასწაულოდაა მორთულ-მოკაზმული. მალაზიები, ჯიხურები, ბაზრები, ყველა კუთხე-კუნჭული სავსეა აუარებელი სურსათ-სანოვავით.

აქეთ თხილი დარჩეული, კარტოფილის გორები, საახალწლოდ უპ, რამდენი ქათმები და ღორები! ვერ დაითვლი ინდაურებს, ყურძნით სავსე კალათებს, ბროწეული, მონეული, მზისებრ შემოგვანათებს. ღვინო, ღვინო, მზე და ღვინო, სიმღერების ზანზარი, ბავშვობიდან ასე მახსოვს საახალწლო ბაზარი.


ბავშვობაშიც ძალიან მიყვარდა ახალი წლის დადგომა. საქმელებით, ათასგვარი ნუგბარით ავსებული ხონჩა. ახლაც მახსოვს თონეში შემწვარი გოგრის გემო. ძალიან მიყვარდა ნამცხვრის ცომისაგან გამოცხვარი ბასილა და ნაირ-ნაირი ფორმის ნამცხვრები. კომპის მურაბით ახალი წლის მილოცვა და პირის ჩატკბარუნებაც ძალიან მიყვარდა. სხვენში შენახული კაკალი საახალწლოდ მთლიანად ჩამოგვექონდა და ზარ-ზეიმით ვამტვრევდით, თან ვჭამდით, თან გოზინაყისთვის, საცივისთვის ვამზადებდით მე და ჩემი და-ძმები:

გული ახლაც ისევ მღერის, როგორც ადრე მღეროდა, სალამურებს ვაკეთებდით, ახალ ლერწმის ღეროდან.

ღიას, ეს იყო მაშინ, ჩემს ბავშვობაში. ახლა, მგონი აღარ თლიან, ჩემი მეზობლები, ჩვენსავით ლერწმისაგან სალამურებს, იმიტომ, რომ მზამზარეული სალამურებიც ბევრი იყიდება და სასტვენებიც. საპატრულო პოლიციის შუქნიშებიანი სანთებლებიც, რა აღარ არის გამოტანილი გასაყიდად. ბავშვების გულის გასახარად იყიდება დოლები, გიტარები, თოვლის ბაბუები, ფიფქები, თოჯინები, როგორც გინდა, რამდენიც გინდა, როცა გინდა. ასაფეთქებლები ხომ თავზე საყრელადაა ყველგან. ისმის საახალწლო ბათქა-ბუთქი. ნაძვისხეების ბუჩია. როგორც გინდა, რამდენიც გინდა, მწვანე თუ თეთრი. დათოვლილი თუ სათამაშოებით გაბრწყინებული. წვიმები, წვიმები, აუპ, რამდენი!!! დიდებო, უფროსებო, უმცროსებო, ბიძიებო, ბაბუებო, დეიდებო! ვიცი, ყველას ძალიან გიყვართ მორთულ-მოკაზმული ნაძვის ხე! იცეკვეთ, იმღერეთ, იმზიარულეთ, გული გაიხარეთ! გახედეთ! მალლიდან გადმოგვეყურებს ცხრათვალა მზე და ყველას გვილოცავს ახალ წელს:

ფეხისწვერებზე დადის მთანმინდა, ამდენმა წლებმა რომ ვერ დალაღეს, გული ხალისით ისევ გაბრწყინდა, ქორწილს იხდიან ბევრნი ამ ღამეს.

შენი დიდების შევესვით ფილა, შენ დიდებულო, ახლო წელო, მოსულხარ ბევრჯერ, ერთხელ კი არა, ყოველთვის ასე ხალისით გველოს! ყველას, ყველას, ყველას გილოცავთ, გილოცავთ, გილოცავთ ბედნიერ ახალ წელს!!!



ახალ წელს – ახალი ღაქსებით!

მეირაზ არველაძის



ნაირა ნიშარაძე

ჩემი მშვენიერი

თენდება, სხივი ცას ებარება, ეს სულ დახატულ ცას ედარება. მარჯვნივ ტყე მოჩანს ჩამობურული, შემორჩენილა ერთი ბულული. მარცხნივ სახლები უსახურები, მალლა ვარსკვლავნი ცის მსახურები. აყეფებულან ავი ძაღლები, დადუმებულან ნაზი ბატკნები. ფანჯრებში შუქებს გააქვთ ბრიალი, ხევი დიდ კომპებს გააქვთ შრიალი. გამომედევნენ ავი ძაღლები, ვნუხვარ, არ ვიცი მათი სახელი. ვიქნევ ქოლგის ტარს, რომ შევაშინო, ჩემი დაკბენა არ შევარჩინო, აქ ნანგრევებში იქნებ მგელია, ეს ქვის ლოდები იქნებ ძველია. ტანში მაჟრჟოლებს და მეშინია, თვალს ეფინება, შავი ბინდია. ამ დროს გამოჩნდა, როგორც ძმობილი წითელ ნათურით ავტომობილი. მადლობა უფალს, მგონი გადავრჩი, ხელში მიჭირავს სუსტი სანათი, შედგა მანქანა და შედგნენ მგლები, ილიმებოდა ჩემი მშველელი!

კონსტანტინე დადეშქელიანი

(1937 წ.)

სვანი ვაჟკაცი, რაინდი, გმირი, გამთენიისას რუსებთან მიდის. იბარებს მკაცრად დამპყრობი რუსი, ცივ იარაღით დამცველნი უცდის. ფიქრობს, იმ უცხოს, ნეტავ, რა ნებაგს, ან რა სიხალეს სვანებთან ბედავს?! ხომ არ ვგონივარ ვინმე მხევალი, მას წელს უმშვენებს მძლე სატყევარი. რუსმა უბრძანა: – მთა ვერ დაგიცავს, – უნდა დატოვო სამშობლო მიწა, – შენ აღარა ხარ ახლა „მთავარი“, ძალზე შორს არის შენი სავალი. – მე არსად წავალ, აქ დავიბადე, ან შენ ვინა ხარ, როგორ მიბრძანებ?! შეძრწუნებული თითქოს მთა იძრა, დიდი მთავარი თავს ველარ იცავს. ხელი მოავლო სატყევის ვადას, რუსი სიკვდილის წილხვედრი გახდა... გარეთ გაიჭრა, ცხენს შემოახტა, მან უშიშარმა გაქცევა სცადა. ამ დროს ელოდა მას კესარია, ტურფა მეუღლე, გზები გალია. და დადგა ჟამი უბედურების, დასცეს, დაცხრილეს ტყვიით გულები. მთა დაიბურა შავფერი ნისლით. შორს არ წავიდა, გული დაიწვა, გადაეფარა სამშობლოს მიწა. მაგრამ სვანეთის მთები ბებერი, დარჩა მარადის აულბელი!..

ღები იშხნეოები

(1905 წ.)

ქუთაისს ახსოვს ლამაზი ღები, ამ თბილ მიწაზე შექმნილნი ქებით. თერთმეტი შვილი უზრდია დედას, სათნო ნანინით, ვით გულთბილ ქედანს. ბელურებივით შემოსხდომოდნენ, ცას აოცებდნენ, როგორ მღეროდნენ?! სიმღერისათვის დაბადებულნი, და ქუთაისის ჰავით გზნებულნი. ბაგრატის ტაძრის მახლობლად ზრდიდნენ და საქართველოს ვარსკვლავად თვლიდნენ. სმაშენყობილნი, როგორც სიმები, და აკინძულნი, როგორც მძივები. რიონის დუღუნს ჰგავს ეს ბგერები, ზეცამ აპკურათ ცვარი, ფერები. სირინოზის ხმის საამო ბგერა, მოგისმენიათ ხმატკბილი მღერა? და ქუთაისის ლამაზმა სცენამ, ამ გოგონებით აიდგეს ენა. ქალაქს ამშვენებს იშხნელთა ქუჩა, გულში ვლიდინებ მათ ჰანგებს ყუჩად. „სულის ყვავილო“, ჩემო „სულიკო“, აქ სიყვარულზე მღერა სულ იყო. დრო სწრაფად გარბის, ამ სიმღერებით ისევ ტკბებიან ქართლის ველები.

პოეტი ჯოჯო ასათიანი

(1943)

ქუთაისი, სიჭაბუკის წლები, რიონი და დაქარგული მთები. ციდან ცვივა პოეტების საზრდო, მცხუნვარე მზე სიმღერებსაც ადნობს.

რა დრო იყო... დრო მწარე და ტკბილი, ტაძრის ახლოს ბალახები თბილი. მხოლოდ ლადო იყო, მკრთალი, ფრთხილი, არ აცალეს ტკბილ დედასთან ძილი. ნაიყვანეს დედა ციმბირს უცებ, „დამნაშავე“ – ნაანერეს ფურცელს. დააობლეს ოჯახი და ფუძე, გზებზე ათოვს, სიკვდილს ხარბს და უძღებს.

საქართველოს გაუზარდა შვილი, საამაყო მომღერალთა ჯიშის. განა ცოტა მოამორეს ოჯახს, განა ცოტას დაუნგრის ოდა?! ეს რა იყო 37 წელში ხალხს დაატყდა ქუხილი და მეხი. – ქუთაისო, გახსოვს სუსტი ლადო, თეთრი ქვეტი და რიონი ფართო. მაინც მისწვდა ვარსკვლავების ერდოს, პოეტს ბედი უნდა დაებედოს!

არ გამაგონო

არ გამაგონო – დაიცალაო, ჩვენი სიფელი – მზე დიდებული, ნეკერ-ამლილი, ბალახგამლილი, ვარდ-ბალნარებით დამშვენებული.

არ გამაგონო – ბევრმა დატოვა, ადგილის დედა, თბილი საცავი, ღობე და ყორე, წყარო ჩქაფუნა, სადღაც ღრმა ტყეში მგელი არც არი.

ნუ გაახარებ მტერს მოზღვავებულს, ზიდე ამ ქვეყნის მძიმე ჭაპანი, დარჩი, გალალდი, ღრმად ჩაისუნთქე, როგორც სუნთქავდნენ მამა-პაპანი!..

# „ათინათის“ შენაკადთა მზესხივოსანი კრებული



**პოპულარულმა** ჟურნალმა „ათინათმა“ ანთოლოგიის სახით საახალწლოდ შემოქმედებითი ანგარიში ჩააბარა ქართველ ხალხს. აქ თანამედროვეობის თითქმის ყველა პრობლემა მალაპროვოცისებურად არის გაშუქებული.

ჩვენდა სავალალოდ, დღეს (დღეს კი არა, კარგა ხანია) ღვაწლ-ამაგის მეტად დაუნახავ-დაუფასებელ გარემოში ვცხოვრობთ. როცა ვფიქრობ ჟურნალ „ათინათის“ და მისი ანთოლოგიის მთავარ რედაქტორზე,

ჩინებულ პოეტ **გულნაზ ხარაიშვილზე**, ვფიქრობ, გაოცებული ვარ: საიდან აქვს ამ ნაზ და ფაქიზ ქალბატონს ამხელა ვაჟკაციური ენერჯია? ბევრს წარმოდგენაც არა აქვს, რა რუდუნება, ამტანობა და გულის სისხლი სჭირდება ასეთი მაღალი რანგის საზოგადოებრივ-მხატვრულ-ზნეობრივი საუნჯის გამოცემას. დაფასება? მკითხველისგან – დიდი, მთავრობისგან – მიზერული (მგონი, ისიც არა), ამ გულგრილობამ, „სხვისი ჭირი, ლობეს – ჩხირის“ განწყობილებამ აპოგეას მიიღწია. შედარებისთვის: უნებურად მახსენდება „ავადსახსენებელი“ კომუნისტების დროს ბრწყინვალე პოეტის, **მთვარისა კერესელიძის**, ხუმრობით ნათქვამი: „ერთ ლექსს დანერს გორგანელი და ჰონორარს ორგან ელის“. დიახ, ომგადახდილი პოეტი რამდენიმე ჟურნალ-გაზეთში მიიტანდა ერთ კარგ ლექსს და ყველგან ჰონორარს გამოუწერდნენ.

ვფიქრობ, ქვეტექსტი გასაგებია. დღეს კი ბევრი რამ ყირაზე დგას. ზოგიერთ ბილწმსიტიყვე პოეტს, მუზა თურმე უნიტაზზე ჯდომისას რომ ეახლება, ფინანსური მხარდაჭერა გარანტირებული აქვს. მათთვის დანესებულა პრემიები, მივლინებები. დიდი მეგავის, „**სიბრძნე სიცრუისას**“, „**სიტყვის კონის**“, „**ევროპაში მოგზაურობის**“ ავტორის შეურაცხყოფა ხომ არ არის, მისი სახელობის პრემია ასეთებს რომ ენიჭებათ?


რამდენჯერმე ვახსენე სიტყვები: „დღეს“, „დღევანდელ პირობებში“. დიახ, დღევანდელ გაუსაძლის პირობებში მართლაც გმირობის ტოლფასია **გულნაზ ხარაიშვილისა** და მისი თანამებრძოლების შემართება, მუშა ფუტკრის ძალისხმევა. აქვე ვიტყვი, ქალბატონმა გულნაზმა თანამებრძოლებად საქვეყნოდ ცნობილი მწერლები, მეცნიერები, ხელოვნების მუშაკები, ახალგაზრდა, პერსპექტიული

ჟურნალისტები შემოიკრიბა. ამიტომაც არის „ათინათი“ და „ანთოლოგია“ ასე პოპულარული.

მინდოდა ანთოლოგიის ამ ნომრის მოკლე მიმოხილვა, მაგრამ გადავიფიქრე, რადგან 600 გვერდიან ნიგნში 10 გვერდი მარტო სარჩევს უჭირავს. ამდენი ავტორის დასახელება კი პრაქტიკულად შეუძლებელია. ერთი თუ დაასახელებ, არდასახელებულთა წყენას მოიძიკი.

ზარს მხოლოდ განათლების სამრეკლოდან გავახმიანებ: განუზომელია ანთოლოგიის სასწავლო-აღმზრდელობითი მნიშვნელობა. **კოლეგებს, მოსწავლეებს, სკოლის ხელმძღვანელებს ვურჩევ**: შეიძინეთ, იკითხეთ, რედაქციასთან ითანამშრომლეთ. მოგებული დარჩებით, ცოდნისა და გამოცდილების თვალსაწიერს გაიფართოვებთ.

„**მამული, ენა, სარწმუნოების**“ უღალატო დარაჯს „ათინათ“-ანთოლოგიას უფრო გაბრწყინე-



ბას ვუსურვებ, რედაქციის ყველა თანამშრომელს და ავტორს უფრო მშვიდობიან, უფრო წარმატებულ, უფრო ბედნიერ შობა-ახალ წელს ვულოცავ.

**ბორის მიშველაძე,**  
პედაგოგიკის დოქტორი

## შემოღება ბანტიადის მოლოდინში (ჯემალ ჯღარაკავას ხსოვნას)



ეროვნულ მოძრაობაში, პოლიტიკურ ტყვეობაში თუ პოეტების მუზის სამსახურში, მისი სალოცავი ხატი სამშობლო იყო. არავისთვის არაფერი უთხოვია, არც რაიმე პრეტენზია ჰქონია. ერთი აზრი და სურვილი ამოძრავებდა მუდამ: სამშობლოს საკურთხეველზე დაედო ყველაფერი, რაც ჰქონდა. და რა ჰქონდა? მხურვალე სიყვარულით ანთებული გული და ამ გულის ნაპერწკლებით ანთებული ლექსები. „სხვა სამშობლო ამაზე მეტი, სხვა გზა, სხვა ხსნა“ მას არ ჰქონდა. ასეც ჰქვია მისი ლექსების ამ ბოლოს გამოცემულ კრებულს – „**მხოლოდ მამული**“.

მეგობრები და ამხანაგები უყვარდა უანგაროდ და უშურველად. უმეგობროდ პურს არ გატეხდა და ჭიქა ღვინოს არ დაღვედა. მარტოხელა კაცი იყო, მაგრამ მისი პატარა ბინა გალის ქუჩაზე მუდამ მეგობრებით იყო ახმანებული და ეს იყო, სწორედ, მისი სიმდიდრე და საგანძური.

ეს სურათი სამეგრელოში წასვლის წინა დღეს გადავუღე. მაშინ ვინ იფიქრებდა, რომ ანუელი ხელით სამუდამოდ გვემშვიდობებოდა. ღმერთმა სასუფეველში დაამკვიდროს!

ნათელში იყოს მისი სული და მსუბუქი იყოს მისთვის მისი სათაყვანო სამშობლოს მიწა.


ბევრზე ბევრი მამულიშვილის წუთისოფელი გალუულა სამშობლოს გაბრწყინების მოლოდინში; ბევრზე ბევრი მამულიშვილის ოცნება და იმედი, ამ სამზეოში რომ ვერ ამხდარა, ზეციურ საქართველოსკენ გაფრენილა, იქნებ იქ მინც... ასეთი იყო და არის ჭეშმარიტ ქართველ მამულიშვილთა ხვედრიც და მისიაც - სამშობლოს ნათელი მომავლის იმედის ნაკვერცხალი არ გააციონ უფუერი ანმეოს ღაღარში.

ერთი ასე კაცთაგანი იყო ჩვენი მეგობარი, პოეტი **ჯემალ (ალექსანდრე) ჯღარაკავა**, რომელმაც იმედებით, სიყვარულით, შრომით გაჯერებული ამსოფლიური ცხოვრების გზა მოულოდნელად დასრულა, თავის მეგობრებსა და ახლობლებს ტკივილის და მონატრების განცდა დაგვიტოვა.

ჩვენი მეგობარი **ჯემალ ჯღარაკავა** სულით ხორცამდე სამშობლოზე შეყვარებული, მისი უღალატო ჯარისკაცი იყო. სადაც უნდა ყოფილიყო, სამეურნეო საქმიანობაში თუ

**მეგობრები**

## ბადაბიჯება სინათლიდან ნათელში (ფარიდა დუბლაძის ხსოვნას)



მასწავლებლობა მადლიანი პროფესიაა, დაწყებითი კლასების მასწავლებლობა კი ათჯერ უფრო მადლია! კაცმა რომ თქვას, პირველმეორე კლასელებისა, თუ მათზე უფრო ზევით მასწავლებლობა პროფესიაზე მეტია. იგი ადამიანის სულიერ-ემოციური მდგომარეობაა. საკლასო ოთახში 30 და მეტი ბავშვის ხმიანობა ხმაურად თუ გესმის, ჯობია სხვა საქმე მონახო, მაგრამ ჟრიალულად თუ გეჩვენება, ხალისიან კლასში ყოფნა ბედნიერებაა მაშინ და ველარც გაძლებ უამისოდ. სწორედ ასეთი მასწავლებელი იყო ჩვენი დაუვინყარი **ფარიდა დუბლაძე**, რომელმაც 40 დღის წინ გადააბიჯა სინათლიდან ნათელში. სინათლიდან იმიტომ, რომ მთელი მისი ცხოვრება ბედნიერ გარემოში გაილია: ბავშვები უყვარდა უსაზღვროდ და ბავშვებსაც უყვარდათ იგი, მის მოსწავლეებს განსაკუთრებით. 6-7 წლის ბავშვის გულში ჩანერგილი სიყვარული სიცოცხლის ბოლომდე მიჰყვება ადა-

მის და ამიტომ უამრავი მისი ყოფილი მოსწავლისა და მათი მშობლების სიყვარული და პატივისცემა თან სდევდა მუდამ. შინ ხომ შევიღებ უყვარდათ და უყვარდათ, შევიღებულელებს კი მზე და მთვარე ამოსდიოდათ მასზე. მის მეუღლეს, ჩვენს მეგობარს **ზურაბ შაუთიძეს** ყველა უყვარს და მეუღლეც ეყვარებოდა, ცხადია.

მათი ოჯახი ზემელზე იმ ეზოში ცხოვრობდა, რომელიც დღეს მთელმა საქართველომ იცის, **დიდ ეზოდ** იცნობს მას. აქ განლაგებული ორი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტის, სამეცნიერო ჟურნალის რედაქციისა და სამეცნიერო ბიბლიოთეკის მრავალრიცხოვანი თანამშრომლები იცნობდნენ, აფასებდნენ და უყვარდათ იგი. ყველას მამიდა იყო და იმიტომ! მამიდა ძალიან საყვარელი და ახლობელი ადამიანია, რადგან ყველაზე თამამად სწორედ მას მიმართავენ ხოლმე დახმარებისათვის.

ამაზე დიდი სიმდიდრე რა უნდა ჰქონდეს ადამიანს და ამ სიმდიდრის პატრონი ბედნიერი როგორ არ იქნება.

დიდ პედაგოგს **ა. სუხომლინისკის** აქვს შესანიშნავი ნიგნი „**გულს ვუძღვნი ბავშვებს**“. **ფარიდა დუბლაძე** გულს უძღვნიდა არა მარტო ბავშვებს, არამედ ყველას,

ვისაც მისი გულისხმიერება და დახმარება ესაჭიროებოდა. ამ ეზოს მკვიდრნი, ჩვენი ეროვნული გმირი, **ზურა შაუთიძის** თანაკლასელი **მერაბ კოსტავა** ათწლიანი პატიმრობის შემდეგ ციხიდან რომ დაბრუნდა. შაუთიძეების ოჯახში დიდი ზეიმი იყო **ფარიდა დუბლაძის** დასახლისობით, რადგან თავის მეუღლესთან ერთად ის იყო მისი დისიდენტობისდროინდელი ერთ-ერთი მესაიდუმლე და ხელშემწყობი, ხოლო პატიმრობაში ყოფნის პერიოდში **მერაბის დედის**, ქალბატონ **ოლიკოს** ერთ-ერთი ნუგეშისმცემელი.

სამწუხაროდ, ბოლო ხანებში ავადმყოფობდა და სიკვდილის წინ, აგონიაში მყოფი კვლავ თავის მოსწავლეებს ახსენებდა. ჭეშმარიტი პედაგოგი იყო ნამდვილად, უშურველად უძღვნა გული ბავშვებს.

ნავიდა ნათლიდან ნათელში **ფარიდა დუბლაძე**. მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური ქართული მიწა ან და მარადის!

**ზურაბ ადამია, ჯემალ კასრაძე, პეტრე კაჭკაჭაშვილი, ბორის მიშველაძე, ზურაბ ქობალია, ზურაბ ცუცქირიძე.**

მთ. რედაქტორი  
**ბორის მიშველაძე**

**რედკოლეგია**  
ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727; ნათელა ქიმერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050; ნათია გურგენიძე 593 422 258; ეკა მამუკაშვილი 557 208 504; მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მეზონია 591 320 705; კონსტანტინე გურგენიძე 555 960 246; თამარ ანდრიაძე (კომპიუტერული მომსახურება) 599 44 98 48;

ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com  
ტელ: (032) 2 99 80 00  
(032) 2 98 48 07; (032) 2 99 63 52

სახალხო განათლება+ N15 (4574)  
5 დეკემბერი / 2018 წელი  
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

ISSN 1987-9113  
9 771987 911009